


„ალიონი“ საუკეთესო გაზეთებს შორისაა

ერთად
გაერთიანოთ ახალი
წელი!
გამოიწერეთ
გაზეთი
„ალიონი“
ფასი
ერთი წლით - 30 ლარი
6 თვით - 15 ლარი



„ინტერნუსი - საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიის განვითარების კვლევა“ - ფარგლებში, ბექდურ მედიას აკვირდებოდა. მონიტორინგი 2021 წლის 5 ივლისს დაიწყო

და 15 ნოემბრამდე გრძელდებოდა. დაკვირვება ხორციელდება 11 გამოცემაზე: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „აკვირის პალიტრა“, „ალია“, „ასავალ-დას-ავალი“, „ქრონიკა“, „საქართველო და მსოფლიო“ და 4 რეგიონულ გამოცემაზე: „გურია news“, „ალიონი“, „პო და არა“, „ჩემი სარგაული“.

კვლევის შედეგებში აღნიშნულია, რომ „რეგიონული გამოცემები მთლიანობაში დაბალანსებულია, არ გვხვდება შეურაცხყოფილი, არაეთიკური ტერმინოლოგია და ფოტოთი მანიპულირების შემთხვევები; სუბიექტური, გადაუმოწმებელი და დაუსაბუთებელი ინფორმაციები. გაზეთები ურნალისტური სტანდარტების დაცვით მუშობდნენ. პოლიტიკური პარტიების საარჩევნო აქტივობები, მერობის კანდიდატების ხედვები თანაბრად და მიუკერძოებლად შექცდებოდა.“

გაზეთი „ალიონი“ საუკეთესო გაზეთებს შორისა და სახელმწიფო. მას კვლევაში ცალკე თავი აქვს დათმობილი. გთავაზობთ ამონარიდს ამ თავიდან:

„გაზეთი მკითხველს არჩევნებში მონაწილე სუბიექტების შესახებ ინფორმაციებს თითქმის ყველა ნომერში აწვდიდა - წინასწარჩვენო და მეორე ტურამდე პერიოდში

იბეჭდებოდა ინტერვიუები მერობის კანდიდატებთან, სადაც ისინი საკუთარ გეგმებსა და ხედვებს აცნობდნენ მკითხველს. გაზეთმა ასევე გამოაქვეყნა არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო სიები.

არჩევნების შემდგომ გამოქვეყნდა დეტალური ინფორმაცია გამარჯვებული პარტიებისა და კანდიდატების, საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ასევე მეორე ტურში გადასული კანდიდატების შესახებ.

ურნალისტები ახალ ამბებს მიუკერძოებლად და პროფესიული სტანდარტების დაცვით აშუქებდნენ.“



ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოსვლის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოსვლა. № 41 (10411) 20 დეკემბერი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

შესვედრა კოლონიის დელეგაციის წევრებთან



გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე, მოადგილეებთან და მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად, პოლონიის დელეგაციის წევრებს შეხვდა. შეხვედრაზე ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და პოლონიის რესპუბლიკის ევრორეგიონის ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაცია „ბაგ“-ს შორის ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის საფუძველზე, მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ერთობლივი პროექტებისა და

გაცვლითი პროგრამების განხორციელება, აგრეთვე, თანამშრომლობის გაღრმავება ტურიზმის სფეროში.

მემორანდუმის გაფორმება პროექტის „ტურისტული ბრენდი, როგორც გურიისა და ევრორეგიონის ტურისტული ინდუსტრიის გაძლიერების შესაძლებლობა“ ფარგლებში მოხდა.

მხარეებმა ერთმანეთს თავიანთი რეგიონისა და მუნიციპალიტეტების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია და სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

ოზურგეთში საპიციალური ავტოტექნიკის მფარმობელი ქარხნის მშენებლობა დაიწყო



„გემოვანის“ ექსპერიმენტები სოფლის მეურნეობის წამყვან და წარმატების მოყვან ღარბად გადაქცევისთვის

თემურ მარშანიშვილი

ალიონი. წარმოშობით მთისპირელ ირაკლი ჩავლეშვილს, საქმე/მოძრაობა „გემოვანის“ დამფუძნებელს (ოთარ ნაჭყებია და „ინიციეტი კაპიტალიზმი“ ერთად) ახლა ყველა იცნობს არა მხოლოდ გურიაში, არამედ მთელ საქართველოში, ამიტომ, ყოველგვარი შესავლის გარეშე: ექვსი წლის წინათ დაწყებული „გემოვანის“ პროექტი ითვალისწინებს ექსპერიმენტებს თუ როგორი უნდა იყოს სოფლის მეურნეობა, რომ იგი გახდეს საქართველოს ეკონომიკისთვის წამყვანი და წარმატების მომტანი დარგი.

„2015 წელს დაიწყო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ექსპერიმენტს, როგორი უნდა იყოს საქართველოში სოფლის მეურნეობა, რომ იგი გახდეს ქვეყნის ეკონომიკისთვის წამყვანი და წარმატების მომტანი იმ მოცულობაში, როცა გვყავს თითოპექტარანი მიწის ნაკვეთის მქონე მოსახლეობა, გვაქვს შესაბამისი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები და ენდემური ჯიშები.“

პურის წარმოებით დაიწყო. „მზეთამზე“ გეოლოგებისა, ახლა ცნობილი პურია თბილისში, ყველა სუპერმარკეტის ქსელში იყიდება. ადგილობრივი სუფთა ხორბლის ფქვილისგან ვამზადებთ, მაგრამ, როდესაც ეს ადგილობრივი იწურება, იმპორტირებულ ხორბალს ვიყენებთ, ოღონდ ასევე სუფთას, ყოველგვარი დანამატების გარეშე. ცხვება აბსოლუტურად პურის დედი, ე. ი. ბუნებრივი საფუარით. დღი-



რად უკვე 6-7-ათასიანი საწარმოა, რომელშიც დაახლოებით 50-60 ადამიანი არის დასაქმებული.

ოზურგეთში, ოქროსქედის ბაზაზე, სადაც დაცული გვაქვს პურის ღელა, ვაწარმოებთ პურს „კალისტო“. მთლიანად 12-13 ბრენდი გვაქვს, რომელიც მოიცავს თბილისს, რუსთავს, ყველა რაიონს, „კალისტო“ კი გურიის ბრენდი იქნება, ასეთი გვემა გვაქვს. „კალისტო“ უკვე

უწყვეტად იყიდება ოზურგეთის რამდენიმე მაღაზიაში. ჯერჯერობით უმეტესად გულშემბატკივარი მყიდველები გვყავს, ვინც მიხვდა, რა პურია, ის ყიდულობს. ცოტა ძვირია, მაგრამ დიდია და ნოყიერია. სხვადასხვა ზომისაა, ერთი კილოგრამი ჯამში 3 ლარი ღირს.

რესპოდენტი ვრცლად გვესაუბრა ოქროსქედში, მთისპირში პარალელურად მიმდინარე ექსპერიმენტზე:

„2016 წელს მთისპირში „ჩხავერი“ გავაშენეთ. დღეისათვის აქ უკვე ამ ჯიშის ვაზი 12-13 ნაკვეთზეა გაშენებული, ჯამში სადაც 3-5 ჰექტარამდე. აქედან 9 ჩვენი პროექტითაა, ზოგი ნახევრად ჩვენია, დანარჩენი - ადგილობრივი მოსახლეობის, ყოველ შემთხვევაში, არის ისეთიც, რომელიც ჩვენს გარეშე გაშენდა.“

სტრატეგია გვაქვს ასეთი: წლებიწინადად მოსავლის გარკვეული ნაწილი მივეცით ერთ თანასოფელს, რომელსაც კარგი ღვინის დაყენების სახელი აქვს. სახლში დაწურა იმ პირობით, რომ ნახევარი მისი იქნება. ასე ვაპირებთ მომავალშიც, ყველას, ვისაც კარგი ღვინის დაყენება ხელეწიფება, ექნება



გემოვანი

სხვა ბაზარია

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთვით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარმოები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
 რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
 558 499100
 საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515
 კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია ალიონით

ოზურგეთში სპეციალური ავტობუსების მუშაობის დაწყების შესახებ

სოფელ მერიაში აშენდება და მუშაობას დაიწყებს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქარხანა, რომელიც სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სხვა სპეციალური მსახურების ავტომობილებს აწარმოებს.

კომპანია „ბიელისი“ პროექტში 10 მილიონიანი ინვესტიციის ჩადებას გეგმავს, რაც საწყის ეტაპზე 70, საბოლოოდ კი 250 ახალ სამუშაო ადგილს შექმნის. კომპანია „ბიელისის“ დამფუძნებელი და პარტნიორები გაერთიანებულ სამ-

ეფოში სპეციალური ავტობუსების ერთ-ერთი წამყვანი მწარმოებელი ბრიტანელი ბიზნესმენები არიან.

ეს არის საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტი, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განხორციელდება.

ახალი საინვესტიციო პროექტები ჩვენი 8 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და ამ კუთხით ოზურგეთის მერია აქტიურად იმუშავებს შემდეგი წლების განმავლობაში.

ოზურგეთის სერვისცენტრს ბია ანთაქე უხელმძღვანელებს

ოზურგეთის მუნიციპალური მომსახურების სერვისცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ალნიშნულ თანამდებობაზე გაა ანთაქე დღეს დაინიშნა.

„კიდევ ერთი საკადრო გადაწყვეტილება მივიღეთ: მუნიციპალური მომსახურების სერვისცენტრს გაა ანთაქე უხელმძღვანელებს. მას მენეჯერულ პოზიციებზე მუშაობის წარმატებული გამოცდილება გააჩნია და აქვს ჩვენი გუნდის მხარდაჭერა, რათა მუნიციპალიტეტში ამ მნიშვნელოვანი სამსახურის მუშაობას გაუძღვეს.“



ოზურგეთი თანამედროვე და კომფორტული ქალაქი იქნება! – აღნიშნა, ოზურგეთის მერმა ავთანდილ თალაკვაძემ.

გზა კიბუბო და ბიბუბო!

მინც იღრმობს და მინიმუმ ოზურგეთის ავერსის კლინიკის საგზურს გაინადრებს...

ანასეულის გზის ასეთი საგალალო მდგომარეობა ორი ძიძის ხელში ჩავარდნის შედეგია. პირველი ძიძა ქალაქის მერიაა, რომელმაც ეს საქმე რატომღაც ყოველთვის სახვალად გადადო, მეორე ძიძა კი, წყალსადენის მშენებელი ორგანიზაცია გახლავთ.

რამდენადაც ვფლობთ ინფორმაციას, ქალაქის მერია და წყალსადენის მშენებელი ორგანიზაცია შეთანხმდნენ, რომ წყალსადენის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ეს გზა კაპიტალურად გაეკეთებინათ ერთობლივი ძალებით.

ახალი წყალსადენი, დროდადრო შეფერხებით, წყალს უკვე აწვდის ანასეულის მოსახლეობას და აქ



მოქმედ ორგანიზაციებს, თუმცა, როგორც ვაივით, მშენებლობა ბოლომდე არ არის მიყვანილი. მშენებლობის ვადა კი კარგა ხნის ამოწურულია.

ის ახალი ხელმძღვანელობა ყურად იღებს ამ ინფორმაციას და გაატარებს ქმედით ზომებს, რათა ანასეული ამ სამთარში არ მოწყდეს ქალაქს.

ანასეული ეკლესიის ზარი შუა გაზაფხულისთვის ახმანდება



ალიონი. ანასეულში წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მშენებლობა მეუფე იოსებმა რამდენიმე წლის წინათ აკურთხა. ბალაგარის გადგმის შემდეგ, სამშენებლო მასალების უქონლობისა და სხვა

მიზეზთა გამო, მშენებლობის პროცესი დროდადრო წყდებოდა. რაც მრევლის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.

შეფასდა რა სიტუაცია, ღვთის სახლის სამშენებლო მასალებით

უზრუნველყოფა ადგილობრივმა ახალგაზრდა ბიზნესმენმა შოთა ხინთიბიძემ ითავა, მშენებლობას კი გამოცდილი მშენებლები გელა სალუქვაძე და ევგენი კობალავა ჩაუდგინენ სათავეში. გამოცოცხლდა მრევლიც, ახლა მშენებლობაზე ერთუზიანობით ყოველფერად ათამდე ანასეული მუშაობს. გრაფიკი კი აქვთ შედგენილი, რომლის მიხედვით, დასახლების ზემო, შუა და ქვემო უბნების მცხოვრებლები ენაცვლებიან და ევზირებიან ერთმანეთს.

კითხვაზე – რამდენ ხანში ჩამოასხამენ გუმბათს – გელა სალუქვაძე გვასუხობს: „ზუსტად ვერ გეტყვით. ყველაფერი დამოკიდებულია სამშენებლო მასალით უზრუნველყოფაზე, მშენებელთა მონდომებასა და, რასაკვირველია, ამინდზე. ამ ეტაპზე გამაღებელი მუშაობა მიმდინარეობს, ერთობლივი ძალებით ვამთავრებთ კედლებს და დავიწყებთ თალის ჩამოსხმას. თუ

ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ხელშეშლა არ იქნება, ასე, ორ თვეში ეკლესიას გუმბათიც დაეღებება და სახურავიც.“

ანასეულელები იმედოვნებენ, რომ წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის ზარი შუა გაზაფხულისთვის ახმანდება.



ოზურგეთში სწრაფი ჩარიცხვის აპარატი გატესტეს



ალიონი. 8 დეკემბერს, ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩის დასაწყისში, აფთიაქ „ისიდორეს“ მიმდებარედ, ვკრეჯერობით დაუდგენელმა პირებმა, ძალაყინის გამოყენებით „საქართველოს ბანკის“ სწრაფი გადარიცხვის აპარატი გატესტეს, თუმცა თანხის გატანა ვერ მოასწურეს.

აფთიაქის ისიდორეს“ მენეჯერმა გვიხსნა, ქურდობა სავარაუდოდ გვიან ღამით მოხდა, პოლიციამ მას დილის 6 საათისთვის სათვალთვალო კამერის ჩანაწერის სახსრად სახლში მაკითხა:

– თავად ნახეთ, სწრაფი ჩარიცხვის აპარატი ძალაყინის გამოყენებითაა გა-

ტესტილი. ბოროტმოქმედებს ვერ მოასწრეს შიდა ყუთის გატეხვა და თანხის წაღება.

გაზეთი „ალიონის“ მომხდართან დაკავშირებით „საქართველოს ბანკის“ ოზურგეთის სერვისცენტრში მივიდა. მენეჯერს სტუმრები ჰყავდა და დაკავებული იყო, ხოლო თანამშრომლებმა მომხდარის შესახებ არაფერი იცოდნენ.

მოგვიანებით იგი დაგვიკავშირდა და გვიხსნა, რომ სწრაფი გადარიცხვის აპარატები მათ არ ეკუთვნით.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

გემოვანი“ ექსპერიმენტები სოფლის მეურნეობის წამყვან და წარმატების მოყვან ღარბად გადაქცევისთვის



წვდომა ამ ვენახებზე. მათი საქმიანობა იქნება მხოლოდ ღვინის დაწურვა, მოვლა-მოყვანა კი ჩვენი საქმეა.

დანარჩენი პირველი მოსავალი დაიწურა არა საწნახელში, არამედ ჩემი მეგობრის მარანში, ძველში, რადგან ჩვენ არ გვქონდა საამისო პირობები. ნახევარი დაიტოვეს. ორივე ვაძველებთ“.

ირაკლი ჩავლეშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოში კლიმატი სასიკეთოდ შეიცვალა მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურისთვის:

„ახლა, რასაც ვენახს ვაკვირდები, ვატყობ, რომ კლიმატი სასიკეთოდ შეიცვალა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვისაც. პროექტის ფარგლებში, წალკაში, დმანისში გვაქვს ხორბლის, სიმინდის, კარტოფილის ძველი ჯიშების ნათესები.

საყურადღებოა სიმინდი, რომელიც მოვიპოვეთ აჭარაში, ნაღვარევიში, „ქორიბუდას“ ეძახიან, ზომით შედარებით მცირე ტარო აქვს, მაგრამ ზღვის დონიდან 1500-1700 მეტრ სიმაღლეზე მოჰყავთ. 2018 წელს გომისთაზე დავთესეთ სიმინდის ეს ჯიში. არასრული მოვლის პირობებშიც მივიღეთ მოსავალი და ექსპერიმენტი ჩავთვალეთ წარმატებულად. ახლა ეს ჯიში დათესილია ბაკურიანთან, ციხისჯვარში და სხვა ადგილებში.

მოკლედ, ამ ექსპერიმენტებით იქამდე მივდით, რომ წლეულს, 23 ნოემბერს ლეკიანში, 2 ჰექტარ ფართობზე დავთესეთ წითელი დოლის, შავფხა და თეთრი დიკა, ხორბლის უძველესი ქართული ჯიშები, ამობიბინებულია, კარგი ჯეჯილია, ივნისში შეიძლება

ქათმის კვერცხს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ იმიტომ, რომ აქვს მას განსაკუთრებული მნიშვნელობა. შავი ღორის მედეობა კი, მაშინ გამოჩნდა, როცა ღორის ჭირმა მუსრი გაავლო თეთრ ღორებს.

ერთ დროს ექსპერიმენტში მყოფი „მზეთაძე“ ახლა არის ამ ყველაფრის სპონსორი, ის აფინანსებს ამ ვენახებს, ამ ნათესებს, აბსოლუტურად ყველაფერს, რასაც ახლა ვიყვებით. ინდემქარზე „კალისტოს“ ჯერჯერობით არ აქვს სტაბილური გაყიდვები, „მზეთაძე“ ზრუნავს მასზე, მისგან აქვს ფქვილი, ინვენტარი და ა. შ. იმედი მაქვს, როგორც თავის დროზე „მზეთაძე“ გამოვიდა, „კალისტოს“ გამოვა მალე და თვითონ გახდება სპონსორი და კარგ ხელს დაატყობს ამ რაიონს.

ირაკლი ჩავლეშვილი გვესაუბრა ამ ეტაპისთვის მთისპირაში ჩატარებულ ბოლო წარმატებულ ექსპერიმენტზე, მაწვნის დამზადებაზე, სახელწოდებით „მერი“:

„ეს ექსპერიმენტი მოსახლეობას საშუალება მისცემს მთაწმინდის მის მიერ წარმოებული რძის რეალიზაცია, ერთი ლიტრი 3 ლარად, მაწვნის დამზადების შემთხვევაში. გვაქვს რძის მომწოდებელი, გვაქვს ძალიან დიდი ისტორიის მქონე, არაჩვეულებრივი მაწვნის დედა, ანუ მაწვნის ძირი, საქართველოდან დაბრუნებული ბაქტერია. მაწონს დამზადებაში შუშის ქილავში. სხვათაშორის, ეს პროდუქტი, რამდენიმე ნაჭერი „კალისტო“ და დესერტი ახალარჩეული მერის ყოველიღორ მენიუშია.

უკვე გვაქვს შეკვეთები ბავიჭის მშენებელი ორგანიზაციიდან, მას აქვს აღებული სოციალური პასუხისმგებლობა სოფელზე, დაგვთანხმდა. რომ მისი თანამშრომლები იქნებოდნენ ამ პროდუქტის მომხმარებლები. ძალიან ბევრი თანამშრომელი ჰყავს ბენტონიტური თიხის მწარმოებელ კომპანიას, გვქონდა მასთან მოლაპარაკება და ველოდებით შეკვეთას.

არის გარკვეული რესურსები, რომლის მობილიზების შემთხვევაში, შევიძინებთ მანქანა-მაცივარს ტრანსპორტირებისთვის. დავასაქმებთ რამდენიმე ოჯახს, რომელიც, ნორმების დაცვით, სახლში დაამზადებს ამ უნიკალურ, სასარგებლო პროდუქტს. იდენტიფიცირებული და ვაქცინირებულია მათი

პროდუქტი. ეს არის ძალიან პერსპექტიული წარმოება სოფლისთვის, სადაც დეცენტრალიზებულად იწარმოება რძის პროდუქტი“.

ირაკლი ჩავლეშვილი ამბობს, რომ მთლიანად მთელი სოფელი მთისპირი ტურიზმია და მოსახლეობა – მასპინძელი:

„გვყავდა სტუმრები ევროპიდან – იტალიიდან, საფრანგეთიდან, სოფელმა უმასპინძლა მათ, როგორც ერთმა სასტუმრომ. მთელი სოფელი ოჯახებით ერთი სასტუმრო იყო თავიანთი ნომრებით. ეს იყო ძალიან დიდი წარმატება. დავიჯერეთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება.

მოკლედ, ტურიზმს ასე ვუყურებთ, ძალიანად მთელი სოფელი მთისპირი ტურიზმია და მოსახლეობა არის მასპინძელი. ოქროსქელში 8-10 ისეთი ოჯახი გვაქვს, რომელთაც ერთი კვირის განმავლობაში უმასპინძლეს ევროპელ სტუმრებს. ამისთვის შესაბამისი, საკმაოდ კარგი ანაზღაურება მიიღეს.

2017 წელს, საკუთარი ძალებით, გავწმინდეთ უკანაგასციზე. ისეთი ვავხადეთ, ასეულობით ადამიანი ავედით ერთდროულად და დიდი დღესასწაული გვქონდა. მთელმა სოფელმა ირწმუნა, რომ შეგვძლებია ამის გაკეთება. ეს მდინარეები, ტყეები მთლიანად ტურიზმია, ეს გემრიელი „ჩხავერი“ და კერძები ტურისტისთვის მიმზიდველია. იწერებიან იტალიელები და ფრანგები: რომ არა შეზღუდვები, სწორედ ჩამოვიდოდნენ. პრემიიდან, იტალიიდან ჩამოსულმა ხალხმა ჩვენთან თავი ისე იგრძნო, როგორც სახლში, ძალიან დავვიახლოვდა. მათ ზუსტად ის პირობე-

ბი აინტერესებთ, რომელიც ახასიათებს მიწათმოქმედ ოჯახს.

რეალური ყოფა და ფოლკლორი, – აი, ეს იქნება ყოველთვის ჩვენი ტურიზმის ნიშა! ასეთნაირად ეხედავთ ტურიზმს მთელ საქართველოში და არამხოლოდ მთისპირსა და ოქროსქელში.

ასე ვაპირებთ გავრძელებას, ზოგი მაწონს ვაკეთებს, ზოგი მეღვინე იქნება, ზოგიც ხორცს დაამზადებს, ჯამში სტუმრებისთვის კარი ყოველთვის ღია გვაქნება. შეუძლიათ მობრძანდნენ, დაისვენონ, წასვლისას კი წაიღონ ჩვენი, როგორც მასპინძლის, მთისპირული და ოქროსქელული ამანათები.

მანქანების ტრადიციად ქვეული გათამაშებითაც დავინტერესდით:

„სამი წელია, ზედიზედ ვატარებთ მანქანების გათამაშებას. შარშან ისეთ პერიოდში ჩავატარეთ, ყველაფერი რომ იყო ჩაკეტილი. შეკვეთილიდან დაიწვეს, პატრულთან შეთანხმებული არ იყო და ოზურგეთში მთელი შეჯიბრი გააჩერეს. ატყდა ერთი ამბავი, რომ ეს სხვა რამე იყო და არა შეჯიბრი. საბოლოოდ დაადგინეს, რომ ეს იყო შეჯიბრი და მისცეს დამთავრების უფლება. წლეულს მცირე მასშტაბით ჩატარდა, „კალისტოს“ ეხებოდა. ავტომანქანა, ელექტრომობილსა და თოფი გათამაშდა.

ამას პოპულარიზაციისთვის ნამდვილად არ ვაკეთებთ. ეს ერთგვარი შესაწირია იმისთვის, რომ ყველაფერი გამოგვივიდეს. ღმერთმა მოგვცეს საშუალება ასე განვაგრძოთ“.

უფალი ხელს მოუმართავს საქმე /მომართაბა „გემოვანი“ ხომ ამ სამედიცინო, ეროვნულ საქმეებს გემოვნებით აკეთებს.



შესვედრა „ციფრული მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში



საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული Log-in Georgia პროექტის

გედრა გაიმართა, რომელსაც რწმუნებულის მოადგილეები დაესწრნენ. კომუნიკაციების კომისიის მედიაფიგნიერების განვითარების ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსმა **მარიამ დახუნდარიძემ** აღნიშნული პროგრამის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია მხარის ხელმძღვანელ პირებს.

Log in Georgia პროექტის შემადგენელი ნაწილია „ციფრული მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც ხორციელდება უშუალოდ კომუნიკაციების კომისიის მედიაფიგნიერების განვითარების ხელშეწყობის დეპარტამენტის კოორდინაციით და მიზნად ისახავს ციფრული ეკონომიკისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, ინტერ-

ნეტის გამოყენების პოპულარიზაციასა და ციფრული ჩართულობის ხელშეწყობას სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის. პროგრამის კონკრეტული ამოცანებია ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა, ინტერნეტის ეფექტური გამოყენების მხარდაჭერა, მოსახლეობის მიერ ელექტრონული სერვისების რეგულარული გამოყენება და უმცირესობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჩართულობის უზრუნველყოფა.

ციფრული მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ადგილობრივი მოსახლეობის ციფრული საჭიროებების შესწავლა, რომლის საფუძველზეც

შემუშავდება შესაბამისი თემ-ატური ტრენინგპროგრამები სამიზნე სოფლების მოსახლეობისთვის, ადგილობრივი მეწარმეებისთვის, სოციალური და ეთნიკური უმცირესობებისთვის, ახალ-გაზრდებისთვის, პენსიონერებისთვის, ოჯახის სათავეში მყოფი ქალბატონებისთვის, შშმ პირებისთვისა და დევნილებისთვის. პროგრამის ფარგლებში ასევე დაიგეგმება სახელმწიფო ელექტრონული სერვისებისა და პლატფორმების გამოყენების ხელშეწყობის ტრენინგები და დამწყებთათვის ჩატარდება ზოგადი ციფრული წიგნიერების კურსები.

სოფელ მაკვანეთში სამი ინდივიდუალური პროექტი დაფინანსდა



ალიონი. გურიის ეროვნული პარკის პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში, სოფელ მაკვანეთში, პირველ ეტაპზე სამი ინდივიდუალური პროექტი დაფინანსდა.

როგორც მაკვანეთში გამართულ შეხვედრაზე კონკურსის ორგანიზატორი ორგანიზაციის, ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრის – „პროგრესის სახლის“ თავკაცებმა **მინდია სალუქვაძემ** და **ლევან მჭავანაძემ** განაცხადეს, საკონკურსოდ მაკვანეთიდან შესული იყო 6 პროექტი.

მაკვანეთელებმა იმდენად საინტერესო პროექტები მოამზადეს, რომ სოფლის წარმომადგენლებით შედგენილ ფიურის გაუჭირდა გამარჯვებულების გამოვლენა. ერთმა ქალბატონმა იხუმრა კიდევ, ექვსივე გამარჯვებულად ვცნოთო, საბოლოოდ, უპირატესობა მიანიჭეს: **არჩილ ბერსენაძის** პროექტს საკალმახე მეურნეობის ინფრასტრუქტურის მოწყობაზე; **მაიზერ ცელაძის** პროექტს გურული სოფლისათვის დამახასიათებელი კარმიდამოსთვის ურმის შექმნაზე და **ჯანვერი ცეცხლაძის** პროექტს საკუთარი ძალებით მოწყობილი ეკომუზეუმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. შესაბამისი სამუშაოების განსახორციელებლად ამ პროექტების ავტორები 300-300 ევროს მიიღებენ.

მინდია სალუქვაძისა და ლევან მჭავანაძის თქმით, ეს მხოლოდ საწყისი ეტაპია და კიდევ უფრო საინტერესოა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამიხენე სოფლებითვის (ლიხაურის თემი – ნიაბაური, აჭი: მაკვანეთის თემი – გოგიეთი, ზემო მაკვანეთი; შემოქმედის თემი – გომი, გონებისკარი, წითელმთა; შემოქმედი; ცხემლისხიდის თემი – ცხემლისხიდი, ბაღდადი; ვაკიჯვარის თემი – ფამფალეთი, ვაკიჯვარი; მთისპირის თემი – უკანაუ, ვანისქელი, მთისპირი.) კონკურსის მეორე და მესამე ეტაპები:

„როგორც თქვენთვის ცნობილია, გურიის მთიანი ლანდშაფტის უნიკალური ბუნების დაცვის მიზნით, ამ უნიკალურ პროექტს ახორციელებენ დაცული ტერიტორიების სააგენტო და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) შვედეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობით. ეს ინდივიდუალური პროექტები მხოლოდ საწყისი ეტაპია, წინ კიდევ ორი ეტაპია. მეორე ეტაპზე სოფელში უბანი უბანს გაეჯიბრება და გამარჯვებული პროექტი 4000 ევროთი დაფინანსდება. კიდევ უფრო სოლიდური თანხა 18 000 ევროა გათვალისწინებული მესამე ეტაპზე გამარჯვებული პროექტისათვის“.

ანზორ ერქომაიშვილმა მაკვანეთში ბოლოს ბაზიერთა ბორაზე იმღერა

ალიონი. დიდმა ანზორ ერქომაიშვილმა მშობლიურ სოფელ მაკვანეთში ბოლოს ბაზიერთა ბორაზე იმღერა. ამის შესახებ მაკვანეთელმა რეზო ჭვიშვილმა გვიამბო: „ყველამ კარგად იცით, რომ ანზორ ერქომაიშვილი ყველაზე ბედნიერად თავს მშობლიურ სოფელში გრძნობდა. სოფლისთვისაც მისი ჩამოსვლა ყოველთვის დღესასწაული იყო. საოცარი კაცი გახლდათ, როგორც დიდთან, ისე პატარასთან მამინვე გამოხატავდა საერთო ენას, ეამაყებოდა, რომ მაკვანეთელი იყო, მშობლიური სოფლისა და თანასოფლელების

უსაშველო სიყვარულში იღვრებოდა ეს ბუმბერაზი კაცი. ბოლოს, გარდაცვალებამდე ხუთი თუ ექვსი თვით ადრე ვესტუმრობდა. ბაზიერთა ბორაზე წავიყვანეთ, სადაც მაკვანეთელ მონადირეთა მემორიალი გვაქვს მოწყობილი, იმ მონადირეთა, რომლებმაც კარგად უწყობდნენ ბატონი ანზორის ფასი და რომლებსაც სწორედ აქ არაერთხელ აუწყვიათ, სოფლის ღირსეული შვილის, ბატონი ანზორის საღვთობა.

ბაზიერთა ბორაზე მაკვანეთის პანორამა ხელისუფლებით იშლება. ზღვაჯ კი მოსჩანს კარგ ამინდში. გაუხარდა, ასეთი გადასახედი, ალბათ, არც ერთ სოფელს აქვსო. მერე სუფრასთან ჩამოვჯექით და მალე მისი ყელიდან ამოთქმულმა ჰანგმა თბილი ნიავეით გადაუფრინა მაკვანეთს, რა ვიცოდით თუ ეს იქნებოდა ჩვენი ანზორის უკანასკნელი სიმღერა მშობლიურ სოფელში“.



კალოსნობა ფლის ბოლოს საუბეთესო ასპარეზობა გვიჩვენებს და 17 მედალი დაიმსახურეს!



ოზურგეთის სპორტის სასახლეში ძალოსნობაში მუნიციპალიტეტის პირველობა, გელა მარგველიანის სახელობის გარდამავალი თასის გათამაშება გაიმართა. მუნიციპალურ პირველობაში 6 წონით კატეგორიაში 17 სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის 2 გოგო, რომლებმაც პირველად იასპარაზეს, ბიჭებს ტოლი არ დაუდეს და შეჯიბრების გამარჯვებულები გახდნენ.

შეჯიბრის სანახაობრივი გამოდგა, მწვრთნელებმა მეტი ლიბარტელიანმა, ლაშა ონიანმა, თემურ და ჯუმბერ ლლონტაძემ ერთგვარად გაწეული მუშაობის ანგარიშიც ჩააბარეს. მოხარდებს ამხნევებდნენ და შედეგებიც კმაყოფილები ჩანდნენ. აღსანიშნავია სოფელ მერიის ძალოსანთა გუნდის შედეგი, რომელმაც სულ რაღაც 3 თვეა დაიწყო ვარჯიში და ბავშვებმა საკმაოდ კარგი მომზადება აჩვენეს. საბოლოო შედეგები კი ასე გადასწილდა: რვა სპორტსმენი ოქროს მედალსა და პირველ ადგილს დაუფლდა, ხუთმა სპორტსმენმა ვერცხლის მედალი მოიპოვა, ოთხი სპორტსმენი კი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

ანეგლოტიები
მაგრამ მაინც მომყვებანი.
–შენ მაგათ პური მიეცი, თორემ ყველა მე გამომყვება.
* * *
რაბინოვიჩი დემონსტრაციაზე გამოდის პლაკატით: „მადლობა სტალინს ბედნიერი ბავშვობისთვის.“
პარტოლგი უყვირის:
– შენ რა, დაგვიჩინე? შენ რომ ბავშვი იყავი, სტალინი დაეაბლებულიც არ იყო.
–აი, მაგიტომაც ვუხდი მადლობას.
* * *
მომდერალი წინასწარ იყო დარწმუნებული წარმატებაში: „აბა სცადონ, ნუ დამიკარვენ ტაშს“ – და წამოიწყო სიძღერა სტალინზე.
* * *
სტალინმა დაკარგა ჩიბუხი. ბერიამ დაიწყო გამოზიება. სადამოსათვის დაპატიმრებული იყო ასი კაცი, მაგრამ დილით დამლაგებელმა ქალმა ჩიბუხი იპოვა. სტალინი ურეკავს ბერიას: „ლაფერენტი, ჩიბუხი აღმოჩნდა.“
* * *
–ეკთილი, ამხანაგო სტალინი, მაგრამ ყველამ აღიარა ერთი გარდა! –ერთის გარდა? განაგრძე, განაგრძე გამოძიება!
* * *
სტალინი ურეკავს რუხველტს პირდაპირი ხაზით:
–რატომ ფერხდება საქონლის მოწოდება ლენდ-ლიზის მიხედვით?
–დოკრები გაიფიცნენ, ხელფასის მომატებას ითხოვენ.
–მერე, და თქვენთან პოლიცია არ არის?
* * *
ებრაელი დადის ახლახან გათავისუფლებული ქალაქის ნანგრევებში:
* * *

პენსიონერს ჰკითხეს, როგორ ცხოვრობო.
–ისე, რა, ვცხოვრობ –უპასუხა. –დღით არ ვსაუზნობ, შუადღისას ჩაის ვსვამ პურით, საღამოს კი რაიმე უფრო მსუბუქს.
* * *
მიმდინარეობს ოინბაზთა საერთაშორისო კონკურსი. გამოდის ინდუსი, აჩვენებს ცარიელ ხელს: ფუ! შეუბერავს ცარიელ ხელს, არაფერი არ არის, ფუ! –კვერცხია, ფუ! –ქათამი, ფუ!-ისევე არაფერი არ არის. გამოდის ამერიკელი: ფუ!-არაფერი არ არის< ფუ –რაკინაა, ფუ! –ავტომანქანა, ფუ! –არაფერია. საბჭოთა იონბაზი: ფუ!-არაფერი არის, ფუ! –რაიკომის მდივანია, ფუ! –საოლქო კომიტეტის მდივანია, ფუ!-ცკ, ფუ!-არაფერი აღარ არის!
* * *
სტალინს სიზმარში ლენინი ეკითხება, როგორაა საქმეო. სტალინი: –არა უშავს, თუმცა გვიძნელობა,

–ეჰა, ეს ხომ ყველაფერი ერთი კაცის გულისთვის მოხდა? მაშინვე დაიჭირეს და შისხასკოში მიიყვანეს.
–ვის გულისხმობდით ამ ერთ კაცში?
–რა თქმა უნდა პიტლერს.
–ჰმ, მაშინ თავისუფალი ბრძანდებით.
–თქვენ, აბა, ვისზე იფიქრეთ? –შეუბრუნა კითხვა ებრაელმა.
* * *
–რომელია ყველაზე მაღალი შენობა მოსკოვში?
–შინსაკომის შენობა ლიუბლიანაზე: იქიდან სოლოკევიც ჩანს და კოლიმაც.
* * *
გევიპტეში აღმოაჩინეს უცნობი ფარონის მუშია. მოიწვიეს საბჭოთა სპეციალისტები. მათ მალე დაადგინეს:
–ეს რამხეს მე-18-ეა.
–როგორ დაადგინეთ?
–შობელძადლი თვითონ გამოტყდა.
* * *
ციხის კამერაში:
–რისთვის ზინარ?
–ანეგლოტებს ვყვებოდი. შენ რისთვის?
–მე ანეგლოტებს ვუსმენდი.
– ეი, მეგობარო, შენ რისთვის ზინარ?
–სინარმაცისთვის. ერთ-ერთ წვეულებაზე ვიყავი, სადაც პოლიტიკურ ანეგლოტებს ვყვებოდნენ. რომ დაკრწმუნდი, ვიფიქრე, მოდი დავაბეზღებ, მეთქი, მაგრამ არ დავაბეზღე, დამეზარა...ჰოდ, ვიდაცას არ დაეზარა!
გაშა ჭანუყვამი.

პენსიონერს ჰკითხეს, როგორ ცხოვრობო.
–ისე, რა, ვცხოვრობ –უპასუხა. –დღით არ ვსაუზნობ, შუადღისას ჩაის ვსვამ პურით, საღამოს კი რაიმე უფრო მსუბუქს.
* * *
მიმდინარეობს ოინბაზთა საერთაშორისო კონკურსი. გამოდის ინდუსი, აჩვენებს ცარიელ ხელს: ფუ! შეუბერავს ცარიელ ხელს, არაფერი არ არის, ფუ! –კვერცხია, ფუ! –ქათამი, ფუ!-ისევე არაფერი არ არის. გამოდის ამერიკელი: ფუ!-არაფერი არ არის< ფუ –რაკინაა, ფუ! –ავტომანქანა, ფუ! –არაფერია. საბჭოთა იონბაზი: ფუ!-არაფერი არის, ფუ! –რაიკომის მდივანია, ფუ! –საოლქო კომიტეტის მდივანია, ფუ!-ცკ, ფუ!-არაფერი აღარ არის!
* * *
სტალინს სიზმარში ლენინი ეკითხება, როგორაა საქმეო. სტალინი: –არა უშავს, თუმცა გვიძნელობა,

ოქროს მედალი ჩვენია!

9 - 12 დეკემბერს ქ. თბილისში კიკბოქსინგში თასის ღია პირველობა გაიმართა. სპორტულ ასპარეზობაში საქართველოს მსშტპით ოცი გუნდი, ორასამდე სპორტსმენი (სხვადასხვა წონით კატეგორია და ასაკობრივი ვეკუფი) გამოვიდა.

შეჯიბრებაში მონაწილეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა კიკბოქსინგის სექციის ოთხმა სპორტსმენმა მიიღო.

მათგან **როლანდ ქარჩავამ** უფროს ასაკობრივ კატეგორიაში (86 კგ) პირველი ადგილი დაიკავა და შინ, ოზურგეთში ოქროს მედალი წამოიღო.

ჩემპიონი ასპარეზობისთვის მწვრთნელმა და მოქმედმა სპორტსმენმა, **ლამა ჭეჭუბოძემ** მოაზღადა.



ოზურგეთელ მოჭიდავეთა წარმატება



16 - 17 დეკემბერს ქ. წყალტუბოში, ბერძულ-რომაულ ჭიდაობაში, **დავით აფხაზის** და **კვირი ვიშნელიშვილის** სახელობის რესპიბლიკური ტურნირი, 2011-2013 წლებში დაბადებულთა შორის გაიმართა. ასპარეზობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ჭიდაობის სექციის სპორტსმენებმა მიიღო მონაწილეობა.

შეჯიბრიდან პირველი ადგილი **ნიკოლოზ კუტუბიძემ** წამოიღო, მათე **ცეცხლაძე** მეორე ადგილზე გავიდა. გიორგი მათითაიშვილი, **დავით მატყაფა**, **ოთარ დარბაიძე** კი მესამე ადგილს და ბრინჯაოს დასჯერდნენ. მწვრთნელი - **კახაბერ აბაშიძე**, ოზურგეთი.

ტურნირში ნატანების გუნდმაც ასპარეზა და **რომან თოიძემ** შინ ვერცხლი, **თამაზ აბრამიშვილმა** და **საბა სუთიძემ** ბრინჯაო წამოიღეს. მწვრთნელი - **ზაზა თოიძე**, ნატანები.

მილოცვა

ქ. ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის თანამშრომლები დაბადების დღეებს ვულოცავთ ნოემბერ- დეკემბერში დაბადებულ

თანამშრომლებს:
ნუკრი ჩხარტიშვილს,
ნანა კეკელიძეს,
ლია ქავთარაძეს,
მედეა ბირკელიძეს.

ვუსურვებთ მათ ჯანმრთელობას, სიხარულს, სანებრძოლ ნიჭოვს და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ქალაქ ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის ადმინისტრაცია.

იყიდება

ერთი წლის ჯიშიერი დეკეული, მუში წაბლისფერი, კარგად მოვლილი, წონით დაახლოებით 70 კგ. **დარეკეთ ტელ-ფონზე: 599 46 50 49, იკითხეთ მარინა.**

იყიდება

ერთი წლის ჯიშიანი დეკეული. **დაგვიკავშირდით: 599 70 15 46; 555 51 47 53.**

თანაბრობა

ნუგზარ ასათიანი ოჯახით თანაურდნობს მარინა ბახტაძეს და კუსუ მურცხვალაძეს შვილის **ჯურიკო მურცხვალაძის** გარდაცვალების გამო

სკანვორდი

										ლიახ			
							ცეცხლის ენა						
		მექსიკის დამპყრობი			მარცხი		ლიდი წინსაწარმე ტყველი				თეთრის ანტი პოლი		
											სასიმინდე		
			მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილი ფეხბურთელი		ელექტროტრანსპორტი				გეოგრაფიული წერტილი				
									ძვირფასი ქვა				ლიდი ჩაქუჩი
		ყველაზე დიდი ალმასი			მე-2 ნოტი								ტვინის სავარჯიშო
	ბავშვის პირველი სიგყვა		ფსევტი			პატარა საწნახელი							ჭიდან წყლის ამოსაღები
					საფინანსო შეგყობინება								
შინაური ფრინველი													
			სახელდასებო ნაგებობა		თურქული მარგარინი			მდინარე ბელარუსში		ქოფაყი			ფოსფორის მადანი
			ქიმიური ელემენტი			ბელგიური რევოლვერი			ქართული პოეტი			კავშირი	

პასუხები:

ლიახ - ადრენალინი; ცეცხლის ენა - ცეცხლი; მექსიკის დამპყრობი - კორტეს; მარცხი - მარცხი; ლიდი წინსაწარმე ტყველი - ლიდი; თეთრის ანტი პოლი - თეთრი; სასიმინდე - სასიმინდე; მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილი ფეხბურთელი - ალექსანდრე შერშაკოვი; ელექტროტრანსპორტი - ტრამვაი; გეოგრაფიული წერტილი - ნიკოპოლი; სახელმწიფო ატრიკაში - ატრიკა; ძვირფასი ქვა - ლიდი; ყველაზე დიდი ალმასი - ციანოპრიატი; მე-2 ნოტი - ნოტი; ბავშვის პირველი სიგყვა - სიგყვა; ფსევტი - ფსევტი; საფინანსო შეგყობინება - შეგყობინება; შინაური ფრინველი - ფრინველი; სახელდასებო ნაგებობა - ნაგებობა; თურქული მარგარინი - მარგარინი; მდინარე ბელარუსში - ბელარუსი; ქოფაყი - ქოფაყი; ფოსფორის მადანი - ფოსფორი; ქიმიური ელემენტი - ელემენტი; ბელგიური რევოლვერი - რევოლვერი; ქართული პოეტი - ქოფაყი; კავშირი - კავშირი.

გურიის 26-ე საჭადრაკო ჩემპიონატის წინ



ამირან ბერბენიშვილი,
ჩოხატაური, ეროვნული
ოსტატი ჭადრაკში, დაბ.1963
წელს 1995 წელს გახდა გურიის
პირველი ჩემპიონი



ნუგზარ გვარჯილაძე
ლანჩხუთი, დაბ.1945
ოსტატობის კანდიდატი, წელს
გურიის 3-გზის ჩემპიონი
(1996, 2001 და 2004 წწ.)



რუსუდან ტკუჩავა,
ლანჩხუთი, დაბ.1980 წ.
ოსტატობის კანდიდატი,
გურიის 3-გზის ჩემპიონი
(ვაჟთა შორის) 1997, 1998, 2001



თორნიკე ჯვედელიძე-
ოსურგეთი, 1986-2013 წწ.
ოსტატობის კანდიდატი,
გურიის ჩემპიონი 2000 წ.


გურიის საჭადრაკო ჩემპიონატი, რეგიონში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრესტიჟული სპორტული ღონისძიებაა, რომლის მიმართ ჭადრაკის მოყვარულთა და ზოგადად ფართო საზოგადოების ინტერესი განსაკუთრებით მაღალია. იგი, 1995 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად ტარდება და მასში რეგიონის მუნიციპალიტეტების ყველაზე წარმატებული და ძლიერი მოჭადრაკეები ღებულობს მონაწილეობას. დღემდე ჩატარებული 25 ჩემპიონატიდან, 18-ს ოსურგეთმა უმანსაპილა, 6-ს ლანჩხუთმა და ერთს ჩოხატაურმა. ჩემპიონის ტიტული სულ მოპოვებული აქვს 10 მოჭადრაკეს. კერძოდ ოსურგეთიდან – **თორნიკე ჯვედელიძეს**(1-ჯერ), **მინდია ჩხიკვიშვილს** (2-ჯერ), **გიორგი გოგოლაურს**(2) და **დავით ცეცხლაძეს** (2); ლანჩხუთიდან – **ნუგზარ გვარჯილაძეს** (3), **რუსუდან ტკუჩავას** (3), **ქრისტინე მჟავიას**(4) და **ტარიელ ხუხუნაიშვილს**(3); ჩოხატაურიდან – **ამირან ბერბენიშვილს**(1) და **გივი ქორიძეს** (4); შეამჩნევდით, რომ ჩემპიონებს შორის ლანჩხუთელთა სახელით მოასპარეზე ორი ქალბატონია- რუსუდან ტკუჩავა და ქრისტინე მჟავია, რომლებმაც ჯამში 7-ჯერ აჯობეს მამაკაცებს(!). (რუსუდანი ამჟამად მცხეთის საჭადრაკო კლუბს ხელმძღვანელობს, ხოლო ქრისტინე, რომელსაც ახალციხეში აქვს ოჯახი, აქტიურ ჭადრაკს ჩამოშორდა და სპეციალობით მსახურობს.). სწორედ, აღნიშნულმა განაპირობა ის, რომ გურიის ქალთა შორის ჩემპიონატის ცალკე ჩატარება ნაკლებ საინტერესო გამოდგა. იგი მხოლოდ ერთჯერ, 1995 წელს გაიმართა და მასში 8 მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათ შორის ოსურგეთელმა **ნინო წითაიშვილმა** და ლანჩხუთელმა **რუსუდან ტკუჩავამ** თანაბარი ქულები დააგროვა და ჩემპიონის გამოსავლენად, მათ შორის დამატებითი მატჩი დაინიშნა, რომელშიც **ნინო წითაიშვილმა** გაიმარჯვა, შესაძლოა საპრიზო ადგილზე კი ჩოხატაურელი ჟანა გიორგაძე გავიდა. ნინო წითაიშვილი შემდგომადგილობრივ შეჯიბრებებში არ მონაწილეობდა, თუმცა შეძლო ევროპის ვიცე - ჩემპიონი გამხდარიყო 14 წლამდე ასაკში. ამჟამად იგი რეგიონში ერთერთი წარმატებული მწვრთნელია. 90-ინი წლების ბოლოს მამაკაცებს ტოლს არ უდებდა ოსურგეთელი ოსტატობის კანდიდატი **ლანა ლომაძე**, რომელიც მამაკაცებს შორის ორჯერ გახდა მუნიციპალიტეტის ჩემპიონი და ორჯერ გურიის და ოსურგეთის ვიცე-ჩემპიონი. მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს მიღწეული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, სოფელ კონხარელ ექიმს, ოსტატობის კანდიდატს **ზინაბ ჯვედელიძეს**. მას მოგებული აქვს გურიის აბსოლუტური პირველობა აქტიურ ჭადრაკში(რაპიდი), რომელიც 2012 წელს ლანჩხუთში ჩატარდა

გურიის ჩემპიონატი, ტრადიციულად გვიან შემოდგომაზე ტარდება და მას წინ უძღვის ლანჩხუთის, ოსურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალური ჩემპიონატები. სასიხარულოა რომ

ოსურგეთელი 12 წლის **თენგიზ თოიძე** და 14 წლის ლანჩხუთელი **მიხეილ აფხაზავა** გურიის 26-ე ჩემპიონატში მთავარ ფავორიტებად გვევლინება. როგორც ჭადრაკის მოყვარულებმა იცნან, თენგიზ თოიძე ოსურგეთში, ხოლო მიხეილ აფხაზავა ლანჩხუთში, მუნიციპალური პირველობების ჩემპიონები გახდა. ორივემ ბრწყინვალედ ითამაშა ძლიერი კონკურენციის პირობებში და უკან ჩამოიშორეს გურიის მოქმედი და ყოფილი ჩემპიონები. სიურპრიზებს ველით ჩოხატაურელ 15 წლის **ლუკა ქორიძესაგანაც**, რომელმაც ბოლო დროს საკმაოდ აიმაღლა დონე, თუმცა ჯერ მამას, გურიის ოთხგზის ჩემპიონს - გივი ქორიძეს უნდა აჯობოს.

გურიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის, **ზურაბ ანდლუაძის** თქმით გურიის, 26-ე ჩემპიონატი ყველაზე ძლიერი შემადგენლობით იქნება წარმოდგენილი. მათ შორის ხუთი ყოფილი ჩემპიონია, ხოლო სამი მუნიციპალიტეტის წლევეან-დელი ჩემპიონები, ასე, რომ 12 მონაწილიდან 7-8 მოჭადრაკეს რეალური ამბიცია აქვს ჩემპიონობისთვის იბრძოლოს.

ჩემპიონატი, გურიის ჭადრაკის ფედერაციისა და ოსურგეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ორგანიზებით, 19-27 დეკემბერს



ტარიელ ხუხუნაიშვილი,
ლანჩხუთი, დაბ.1955 წ.
ოსტატობის კანდიდატი, გურიის ორგზის
ჩემპიონი 2008 და 2011წ.



გიორგი გოგოლაური,
ოსურგეთი, დაბ. 1990 წ.
ოსტატობის კანდიდატი, გურიის ორგზის
ჩემპიონი 2013 და 2015 წ.



გივი ქორიძე,
ჩოხატაური, დაბ.1972 წ.
ოსტატობის კანდიდატი,
გურიის 3-გზის ჩემპიონი
2010, 2012 და 2019 წწ.



მინდია ჩხიკვიშვილი,
ოსურგეთი, ოსტატობის
კანდიდატი, დაბ. 1986 წ. გურიის
ჩემპიონი 2002 და 2013 წწ



ქრისტინე მჟავა,
ლანჩხუთი, დაბ. 1986 წელს,
ოსტატობის კანდიდატი, გურიის
4-გზის ჩემპიონი (ვაჟთა შორის)
2003, 2004, 2005 და 2007 წწ.



დავით ცეცხლაძე,
ოსურგეთი, დაბ. 1988 წ.
ოსტატობის კანდიდატი,
გურიის 2-გზის ჩემპიონი

7 დღის ამინდის პროგნოზი

ღრუბაღი
+8+13
20 დეკემბერი
ორშაბათი

პლირი წვიმა
+3+6
21 დეკემბერი
სამშაბათი

მცირე თოვლი,
-1+5
22 დეკემბერი
ოთხშაბათი

მზე, ღრუბაღი
-2+5
23 დეკემბერი
ხუთშაბათი

მზე, ღრუბაღი
0+3
24 დეკემბერი
პარასკევი

მზე, ღრუბაღი
+4+5
25 დეკემბერი
შაბათი

მზე, ღრუბაღი
+4+8
26 დეკემბერი
კვირა